<u>ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები</u>
<u>სალომბარდე სასესხო ხელშეკრულება</u>
<u>ხელშეკრულების ნომერი N ----</u>

ქ. --------- **თარიღი წ.**

სესხის საპროცენტო განაკვეთი:

- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: **ფიქსირებული;**
- სესხის საპროცენტო განაკვეთი: _____
- სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: _____

ფინანსური ხარჯები, რომლებიც გაითვალისწინება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში:

- ვადის ბოლოს შენატანი/გადასახდელი (ძირი + პროცენტი) _____

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- სესხის მთლიანი (ძირითადი) თანხა: _____ ლარი
- მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა (სესხის ძირითადი თანხა და ფინანსური ხარჯი) _____ ლარი
- სესხის გაცემის თარიღი: _____
- სესხის დაფარვის თარიღი: _____
- სესხის ვადა: _____
- სესხის ხელშეკრულების ვადა: _____. მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, ნებისმიერ თარიღში, ამ თარიღამდე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სრულად გადახდის შემთხვევაში, აღნიშნული თარიღიდან წინამდებარე ხელშეკრულების და შესაბამისად სესხის მოქმედება გაგრძელდება პერმანენტულად იმავე ვადითა და პირობებით, ხოლო გადახდის თარიღი შეიცვლება ვადის გაგრძელების თარიღის შესაბამისად. მსესხებლისათვის 2 თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, გამსესხებელი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულების ამ წესით გაგრძელებაზე.
- სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს არ ეკისრება რაიმე სახის საჯარიმო სანქცია ან საკომისიოს გადახდა.

სხვა მოსალოდნელი ხარჯი:

- **ვადაგადაცილების ჯარიმა** მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას, თუ ვაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა გადააჭარბებს _____ კალენდარულ დღეს, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს ჯარიმა ვადაგადაცილებაზე, სესხის ძირითადი თანხის 0.27 % ყოველ ვადაგადაცილებულ

დღეზე. ამასთან, ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის.

- ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების (მათ შორის სესხის % ის) ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

- მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ხელშეკრულების 4.25 პუნქტში განსაზღვრული წესის შესაბამისად.

- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსის“ წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად ან თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელექტრონული ფოსტის info@sf.ge მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში. განხილვის წესი და პროცედურა განთავსებულია ვებ გვერდზე https://sf.ge/

გაეცანით მომხმარებლისათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე 032 2 406 406

სესხის და გირავნობის ხელშეკრულება № ---------

ქ. _____ **თარიღი** წ.

ერთის მხრივ შპს მისო _____, ფაქტობრივი მისამართი _____ საკონტაქტო ტელეფონი: _____ ელექტრონული ფოსტის საკონტაქტო მისამართი: _____ შემდგომ „გამსესხებელი“ წარმოდგენილი _____ სახით. საბანკო ანგარიშის _____

.

და მეორე მხრივ _____ პ/ნ _____ ფაქტობრივი მისამართი _____ ელ. ფოსტა: _____ საკონტაქტო ტელეფონი _____ ფაქტობრივი მისამართი _____ ელ. ფოსტა: _____ შემდგომ „მსესხებელი“ ვთანხმდებით შემდეგზე:

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსი“. არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

გამსესხებლის საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, მის: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე სესხს, ხოლო მსესხებელი იღებსვალდებულებას დააბრუნოს მიღებული სესხი და გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

1.2. ხელშეკრულების თავსართი, ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. სესხის ოდენობა და პირობები

2.1 სესხის ტიპი ----------

2.2 საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული;

2.3 სესხის საპროცენტო განაკვეთი: _____

2.4 სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: _____

2.5 სესხის მთლიანი (ძირითადი) თანხა: _____ ლარი

2.6 სესხის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით მისაღები თანხა: _____

2.7 გადახდის გრაფიკი: ვადის ბოლოს შენატანი/გადასახდელი (ძირი + პროცენტი) _____

2.8 მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა (სესხის ძირითადი თანხა და ფინანსური ხარჯი) _____ ლარი

2.9 სესხის გაცემის თარიღი: _____

2.10 სესხის დაფარვის თარიღი: _____

2.11 სესხის ვადა: _____

2.12 სესხის ხელშეკრულების ვადა: _____ მსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე, ნებისმიერ თარიღში, ამ თარიღამდე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სრულად გადახდის შემთხვევაში, აღნიშნული თარიღიდან წინამდებარე ხელშეკრულების და შესაბამისად სესხის მოქმედება გაგრძელდება პერმანენტულად იმავე ვადითა და პირობებით, ხოლო გადახდის თარიღი შეიცვლება ვადის გაგრძელების თარიღის შესაბამისად. ხელშეკრულება არ გაგრძელდება თუ გამსესხებელმა შეცვალა საპროცენტო სარგებლის ოდენობა. გამსესხებელი

უფლებამოსილია ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

2.13 სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს არ ეკისრება რაიმე სახის საჯარიმო სანქცია ან საკომისიოს გადახდა.

2.14 **ვადაგადაცილების ჯარიმა** მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას, თუ ვაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა გადააჭარბებს _____ კალენდარულ დღეს, გამსესხებელი უფლებამოსილია დააკისროს მსესხებელს ჯარიმა ვადაგადაცილებაზე, სესხის ძირითადი თანხის 0.27 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.| ამასთან, ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის (გარდა ისეთი ხარჯებისა, რომლებიც შედის სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლოს/ჯარიმის და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა არ გადააჭარბებს სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის.

2.15 ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების (მათ შორის სესხის % ის) ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.16 შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სტანდარტ ფინანსის“ წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელს შეუძლია წარადგინოს ზეპირად ან თავისუფალი წერილობითი ან სტანდარტული წერილობითი ფორმით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში ან ელექტრონული ფოსტის info@sf.ge მეშვეობით, რომელიც განხილული იქნება მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში. განხილვის წესი და პროცედურა განთავსებულია ვებ გვერდზე https://sf.ge/.

3. გირავნობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, მსესხებელი მფლობელობითი გირავნობის სახით გირაოში დებს და გამსესხებელს მფლობელობაში გადასცემს მის საკუთრებაში არსებულ მოძრავ ნივთებს (შემდგომ „გირავნობის საგანი“). სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ნივთების ჩამონათვალი მითითებული დანართი N 1-ში_ შეფასების აქტში.

3.2 გირავნობით უზრუნველყოფილია სესხიდან გამომდინარე მოთხოვნები [ძირითადი თანხა, ჯარიმა, პროცენტი], ასევე გირავნობის საგნის რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.3 მსესხებლისათვის ცნობილია და ადასტურებს, რომ ძვირფასეულობის შეფასება მოხდა მხოლოდ მისი მასის საფუძველზე და გათვალისწინებული არ იქნა სხვა გარემოებები [დამზადების სახე და ტექნოლოგია, დამზადების უნიკალურობა, სიძველე და ა.შ.], რომ რეალიზაციის შემთხვევაშიც მყიდველისათვის ძვირფასეულობა შეთავაზებული იქნება მასის ღირებულების მიხედვით.

3.4 მსესხებელი აცხადებს და იძლევა გარანტიას რომ იგი არ წარმოადგენს დამატებითი ღირებულების გადამხდელ [დღგ] მეწარმე ფიზიკურ პირს.

3.5 გამსესხებელი უფლებამოსილია გირავნობის საგანი შეინახოს თავად ან შესანახად გადასცეს მესამე პირს [მათ შორის კომერციულ ბანკს]. ასეთ შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია შემნახველ პირს მიაწოდოს მსესხებლის პერსონალური მონაცემების, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და უზრუნველყოფის საგნის შესახებ ინფორმაცია.

3.6 გამსესხებელი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას თუ გირავნობის საგანი დაზიანდა და ან განადგურდა დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) გამო.

3.7 მსესხებელი ადასტურებს რომ გირავნობის საგანი არის მისი საკუთრება, არ აქვს მოპოვებული დანაშაულებრივი გზით და უფლებამოსილია დააგირავოს ისინი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფის რეალიზების წესი და ხელშეკრულების სხვა პირობები

4.1 მსესხებლის მიერ სასესხო ვალდებულების შესასრულებლად გადახდილი თანხიდან პირველ რიგში იფარება ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს სესხის ძირითადი თანხა, რიგითობა შეიძლება შეიცვალოს გამსესხებლის შეხედულებისამებრ.

4.2 თუ მსესხებელს გააჩნია რამდენიმე სხვადასხვა სასესხო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულება გამსესხებლის წინაშე, გადახდისას მსესხებელმა უნდა მიუთითოს თუ რომელი ვადამოსული ვალდებულების შესრულება/დაფარვა სურს. თუ მსესხებელი არ ირჩევს შესასრულებელ ვალდებულებას, გამსესხებელი ფარავს შემდეგი თანმიმდევრობით: (1) იმ ვადამოსულ ვალდებულებას რომელიც უფრო ადრე წარმოიშვა (2) თუ ვალდებულებები წარმოშობილია ერთი და იგივე დროს, მაშინ უზრუნველყოფილ ვალდებულებას (3) თუ მეორე კრიტერიუმითაც ვერ მოხდა პრიორიტეტის დადგენა, მაშინ ვადამოსულ ვალდებულებებს შორის იმას, რომლის მიმდინარე დავალიანებაც ყველაზე მაღალია.

4.3 თუ მსესხებელმა კონკრეტულ თარიღში არსებულ დავალიანებაზე მეტი ოდენობით თანხა შეიტანა გამსესხებლის სალაროში ან ე.წ. სწრაფი გადახის ტერმინალში ან შეიტანა/გადარიცხა გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე ან გადაიხადა პორტატული გადახდის აპარატით ე.წ. ''პოკეტით'', ზედმეტად გადახილი თანხით მცირება სესხის ძირითადი თანხა.

4.4 მსესხებელი ვალდებულია განახორციელოს გადახდები წინამდებარე ხელშეკრულებით გათავლისწინებული წესით და ვადებში.

4.5 მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულება ხდება ნაღდი ან უნაღდო წესით. უნაღდო წესით გადახდისას სახსრები ჩარიცხულ უნდა იქნას გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე. ნაღდი სახით გადახდა ხდება საბანკო ანგარიშზე ან გამსესხებლის სალაროში ან სწრაფი გადახდის ტერმინალში ფულადი თანხების შეტანის გზით, ან პორტატული გადახდის აპარატით ე.წ. ''პოკეტით'', რაზეც გაიცემა შესაბამისი დოკუმენტი.

4.6 მსესხებლის განცხადებით გირავნობის საგანი წარმოადგენს მის საკუთრებას, არის უფლებრივად უნაკლო, ანუ არ ვრცელდება მესამე პირთა უფლებები ან/და დავის საგანს არ წარმოადგენს.

4.7 მსესხებელი დაუყოვნებლივ ვალდებულია აცნობოს გამსესხებელს მისი საგადასახადო სტატუსის ცვლილების შესახებ.

4.8 მსესხებლის მიერ ფულადი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამსესხებელი ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მსესხებელს დაუბრუნოს გირავნობის საგანი, მსესხებელი კი თავის მხრივ, ვალდებულია გირავნობის საგანი მიიღოს ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებიდან 8 (რვა) სამუშაო დღის ვადაში. თუ მსესხებელი გირავნობის საგანს მფლობელობაში არ მიიღებს ზემოაღნიშნულ რვა დღიან ვადაში, ვადის გასვლის შემდეგ ნივთის მისაღებად იგი ვალდებულია წერილობით მიმართოს გამსესხებელს და ნივთი მიიღოს წერილობითი მოთხოვნიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4.9 იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მოგირავნის მიერ საბანკო დაწესებულებიდან მიღებული კრედიტი, დამგირავებელი აცნობიერებს, რომ მის მიმართ არსებული სასესხო მოთხოვნა შესაძლოა გამოყენებული იქნეს გირაოს და/ან ფინანსური გირაოს საგნად. წინამდებარე პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, მსესხებელი აცხადებს ცალსახა თანხმობას მის მიერ აღებული სესხის (მათ შორის სესხის ოდენობა, საპროცენტი განაკვეთი, ვადა, მსესხებლის პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა) მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია გადაეცეს მოგირავნეს და/ან მის მიერ მითითებულ გირავნობის აღმრიცხველ ორგანოს/პირს. დამგირავებელი აცხადებს თანხმობას დაგირავებული ნივთი შესანახად გადაეცეს მოგირავნის მიერ შერჩეულ მესამე პირს, ამასთან, დამგირავებლისათვის ცნობილია, რომ შენახვა შესაძლოა იყოს სასყიდლიანი. დამგირავებლი აცნობიერებს, რომ ნივთის შესანახად მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, ნივთის დაბრუნება მესამე პირისაგან ნივთის მესაკუთრეზე და/ან მოგირავნეზე განხორციელდება დამგირავებლის/მსესხებლის (ფიზიკური პირი) მიერ ამ ნივთით უზრუნველყოფილი სასესხო ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ.

4.10 თუ მსესხებელი სესხის დაფარვის შემდეგ არ გაიტანს გირავნობის საგანს, მას შეიძლება დაეკისროს საზღაური გირავნობის საგნის შენახვისათვის ყოველ ვადაგდაცულებულ დღეზე 1 [ერთი] ლარი ოდენობით.

4.11 ჩემთვის ცნობილია, რომ შპს მიკროსაფინანსსო ორგანიზაცია სტანდარტ ფინანსი შეაგროვებს/დაამუშავებს ჩემს შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება ჩემი გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. ჩემი მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა

დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ასევე, შპს მიკროსაფინანსსო ორგანიზაცია სტანდარტ ფინანსი უფლებამოსილია ჩემი სასესხო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ჩემი საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში ჩემი დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩემი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

4.12 გამსესხებელი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს გადასცეს მსესხებლის პერსონალური ან/და მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც მსესხებელს, ისე მესამე პირებს, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ან მათი სუბ აგენტების მეშვეობით, მსესხებლის სასარგებლოდ გადაიხადონ თანხები.

4.13 თუ მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებები არ ბარდება ადრესატს და შემდგომი სამართლებრივი ქმედებებისათვის [სარჩელის აღძვრა, გირავნობის საგნის რეალიზაცია და ა.შ.] საჭიროა მსესხებლის გაფრთხილება, გამსესხებელს უფლება აქვს გამოაქვეყნოს საჯარო შეტყობინება. რაც გულისხმობს, პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ცნობილი გახდება მსესხებლის პერსონალური მონაცემები, დავალიანების არსებობის და ოდენობის ფაქტი, ასევე უზრუნველყოფის საშუალებების შესახებ ინფორმაცია.

4.14 გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.15 გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს მსესხებლის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლებრივად დატვირთვის [მაგ . დაგირავების] მიზნით.

4.16 თუ მსესხებელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, და ვადაგდაცილებული დღეების რაოდენობა მიაღწევს 45 კალენდარულ დღეს, მსესხებელი ამ ხელშეკრულებით გამსესხებელს აძლევს დავალებას მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია ნებისმიერი ფორმით, როგორც უშუალოდ, ისე სხვა პირის მეშვეობით, მათ შორის მესამე პირისათვის პირდაპირი მიყიდვის გზით და მიღებული თანხა მსესხებლის სახელით მიმართოს სასესხო დავალიანების დასაფარავად.

4.17 გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს სესხის, საპროცენტო სარგებლის და ჯარიმის დაუყოვნებლივი გადახდა თუ აღმოჩნდა, რომ მსესხებლის მიერ გაცხადებული გარანტიები და გარემოებები არ შეესაბამებოდა რეალობას.

4.18 თუ გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად ვერ დაფარავს მსესხებლის ვალდებულებას გამსესხებლის მიმართ, გამსესხებლის მოთხოვნა მსესხებლის მიმართ დაკმაყოფილებულად ითვლება.

4.19 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საფოსტო და სხვა ხარჯები ეკისრება მსესხებელს. გამსესხებელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში გაიღოს ასეთი ხარჯები და შემდგომ აინაზღაუროს მსესხებლისგან ან გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან.

4.20 სხვაობა ამონაგებ თანხასა და მსესხებლის დავალიანებას შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა მსესხებელს.

4.21 გამსესხებელი ვალდებულია გირავნობის საგნის რეალიზაციამდე ორი კვირით ადრე გირავნობის საგნის რეალიზაციის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მსესხებელს.

4.22 მსესხებლის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მობილური ტელეფონის ნომერზე გამსესხებლის მიერ შეტყობინების გაგზავნა, ან თუ შეტყობინება მსესხებლის მიერ გაცხადებულ მისამართზე ჩაიბარა ნებისმიერმა პირმა, ჩაითვლება მსესხებლის მიერ ასეთი შეტყობინების მიღებად.

4.23 მსესხებლის მიერ ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმება არ ცვლის წინამდებარე ხელშეკრულების 4.22 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას და ასეთ მისამართზე შეტყობინების გაგზავნა ჩაითვლება ჩაბარებად.

4.24 მხარეები ვთანხმდებით, რომ მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება, ასევე მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებასა და მხარეთა შორის, ასევე არბიტრებსა და მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება (მათ შორის დაბარება, უწყების ჩაბარება, დოკუმენტაციის გადაცემა) განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით. მხარეებმა განაცხადეს თანხმობა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინებები მათთვის ჩაბარებულად ითვლება.

4.25 მსესხებელს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უფლება აქვს უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე მისი გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში:

4.25.1 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღიდან.

4.25.2 უარის თქმის სურვილის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია ზემოაღნიშნულ ვადაში, გამსესხებელს აცნობოს წერილობითი განცხადების წარდგენით/გაგზავნით გამსესხებლის ნებისმიერ ფილიალში. განცხადებაში იდენტიფიცირებული უნდა იყოს მსესხებელი და სესხის ხელშეკრულება, რომელზეც მსესხებელი აცხადებს უარს და ხელმოწერილი უნდა იყოს მსესხებლის/მინდობილი პირის მიერ.

4.25.3 უარის თქმის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია: უარის თქმის შესახებ განცხადების წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გამსესხებელს გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

4.25.4 თუ მსესხებელი ვერ შეასრულებს 4.25.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას ამავე პუნქტში მითითებულ ვადაში, მისი უარი ჩაითვლება ანულირებულად. ხოლო მხარეთა შორის არსებული სასესხო ურთიერთობა გაგრძელდება წინამდებარე ხელშეკრულებითა განსაზღვრული პირობებით.

4.26 ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან განიხილება და გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

4.27 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცხადებული პერსონალური ინფორმაცია, ინფორმაციის მიმღებმა მხარემ შეიძლება გამოიყენოს: (1) იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის (2) საინფორმაციო ხასიათის/გაფრთხილების/შეტყობინებების გაგზავნის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად.

5. დასკვნითი დებულებები

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

5.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

5.3 მსესხებელი თანახმაა, რომ მისი ფულადი ვალდებულების შესრულება მოახდინოს მესამე პირმა.

გამსესხებელი_____ **მსესხებელი**_____